ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №123071

ნომერი: AR138878

თარიღი : 11.04.2012

გაცემის თარიღი : 17.04.2012

გაცნობის თარიღი : 20.04.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარე ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იური კოჩკინი პ/ნ 01001033118
- თბილისი მუხიანი IVა მ/რ კორ. 11 ბ. 17

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ბანკომატის განთავსება
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის სწრაფი გადახდის აპარატის განთავსების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარედ შპს "სალხინო-93"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სწრაფი გადახდის აპარატის განთავსების შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური". ,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან #882011387679 12/08/2011 წ. საკადასტრო კოდი 01.11.12.016.031, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - გლდანი, მეტროს სადგურ "ახმეტელის თეატრი"-ს მიმდებარედ, შპს "სალხინო-93"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სწრაფი გადახდის აპარატის განთავსების შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.